# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 167. ხუთშაბათი, 13 ნოემბერი 1903 წ. გაზეთის № 2322.

# ნანი ვოლპე

ჯიოვანი ვერგასი

(გერმანულ თარგმანიდან)

საუკეთესო დრო ნანი ვოლპემ იმას მოანდომა, რომ რაც შეიძლება მეტი ქონება შეეძინა. სრული ოცდაათი წელიწადი დაუსვენებლად მუშაობდა მხარ-ბეჭ განიერი და ბუნებით გონიერი გლეხის შვილი; გაგანია სიცხეში თუ კოკის პირულ წვიმაში თოხი ხელში ეჭირა. ჭამა-სმას ნუღა ჰკითხულობთ! იმდენს სჭამდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. როცა სხვა ახალგაზდა ბიჭები გოგოებს დასდევდნენ ან სასტუმროში შეექცეოდნენ, ნანი ვოლპეს, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „ჩალა მიჰქონდა თავის ბუდეში“. დღეს პატარა ბინა იშოვა, ხვალ აგური სახლისათვის. მწარე ოფლით შეიძინა პური, თავს დააკლო და მიწად და ქვად აქცია. ბოლოს ბუდე მზად იყო და ნანი ვოლპესაც ორმოცდაათი შეუსრულდა. სამაგიეროდ, მას სახლთან სათიბიც ჰქონდა, საყანეც და პატარა ვენახიც; ეზო და ბეღელი მშვენიერად ჰქონდა გაწყობილი. როცა ნანი ვოლპე კვირაობით ბაზარში გავიდოდა სადღესასწაულოდ გამოწყობილი, ნაცნობები დიდის პატივისცემით უთმობდნენ გზას, განსაკუთრებით ქვრივები და გასათხოვრები — ყველამ კარგად იცოდა, რომ კარგად მოწყობილ სახლს დიასახლისი ეჭირვებოდა.

ნანი ვოლპე უარზე არ იდგა; თითონაც ჰფიქრობდა, მაგრამ არ ჩქარობდა, რადგან მიჩვეული იყო შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით მოქმედებას. ქვრივი არ უნდოდა, რადგან იცოდა, რომ „პირველის“ მუდმივ მოგონებით სიცოცხლეს გაუმწარებდა; არც თუ სულ ახალგაზდა გოგოს მსურველი იყო, რომ „იმ ქმრების გუნდს არ ჩაერიოდა, რომელნიც იშვიათ მოვლენას არ შეადგენენ“, როგორც თვითონ ამბობდა. ბოლოს ჩვენმა ვოლპემ თავისი ყურადღება სვინა ნუნციას ქალს მიაქცია: მეტად წყნარი ქალი იყო, მუდამ ართავდა, ფანჯარაში ცქერა კვირაობითაც არ იცოდა და ოცდარვა წელიწადი ისე ეცხოვრა, რომ ახლო ნაცნობი არავინ ჰყოლია. ეს კია, მზითვი არა ჰქონდა, მაგრამ რა ვუყოთ! ვოლპეს იმითი შეეძლო თავი ენუგეშებინა, რომ ახალგაზდობაში ორისთვის უმუშავნია. ნუნცია კმაყოფილი იყო; ახალგაზდა ქალი არც ჰოს ამბობდა და არც არას, მაგრამ ისიც კმაყოფილი უნდა ყოფილიყოს. ავი ენებისათვის რომ ყური გეგდოთ, კარგს ვერას გაიგონებდით. „წყნარი წყალი უფრო ღრმა არის“-ო, ამბობდნენ ერთნი; „ეხლა კი ბატი შესჭამს მელას“-ო, უმატებდნენ სხვანი.

სააღდგომოთ საქმე გათავდა კიდეც. პურის მოსავალს კარგი პირი უჩანდა, ზეთის ხილი დამწიფებული იყო და ნანი ვოლპემ უკვნასკნელი გადასახადიც მოიშორა თავიდან. ერთის სიტყვით ყოველმხრივ მოხერხებული დრო იყო. ვოლპემ ჩაიცვა თავისი ცისფერი სადღესასწაულო ტანისამოსი და სვინა ნუნციასთან წავიდა. ქალი კარებს უკან იყო ამოფარებული და ყურს უგდებდა; ცოტა ხანს შემდეგ დედამ დაუძახა და ესეც გავიდა სტუმართან თავდაღუნული, განათლებული და საქსოვ წინდით ხელში.

— რაფაელა, ბატონი ვოლპე შენს თავსა მთხოვს, უთხრა დედამ.

ახალგაზდა ქალს თავი მაღლა არ აუღია, იდგა გაჩუმებული და წინდის ქსოვას განაგრძობდა; გული აუდიოდა და ჩამოუდიოდა.

— თქვენი აზრი გვინდა შევიტყოთ, დაუმატა დედის სიტყვებს ვოლპემ.

რა კი ქალი არას ამბობდა, ისევ დედამა სთქვა — მე ჩემის მხრივ თანახმა ვარ.

რაფაელამ დახუჭა თავისი ცისფერი თვალები და სთქვა:

— თუ თქვენ თანახმა ხართ, დედა, მეც თანახმა ვარ.

დიდი ქორწილი არ გადაუხდიათ, რადგან ვოლპეს არ უყვარდა აურ-ზაური და ისიც კარგად ესმოდა, რომ ასი კაპეიკის მოგროვება იყო საჭირო ერთის მანეთის შედგენისათვის. ამიტომ მხოლოდ სულ ახლო ნათესავები და მეზობლები მოიწვიეს. სტუმრებ შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც აქამდე დიდი იმედი ჰქონდათ ვოლპეს მემკვიდრედ გახდომისა. საბრალონი! ეხლა ისეთის თვალებით უცქეროდნენ პატარძალს, რომ მზად იყვნენ თავიან-ფეხებიანა გადაეყლაპათ. შალ-აბრეშუმში გამოწყობილი პატარძალი კი უკვე დიასახლისობდა და მტერსა და მოყვარეს მეგობრულის ღიმილით და ტკბილის სიტყვით უმასპინძლდებოდა. ნანი ვოლპე მეტად კმაყოფილი იყო და სიამოვნებით ხელებს ისრესდა. „ესეც თუ კარგი მეუღლე არ გამოდგა, არც წმინდანი და არც სამოთხე აღარ ყოფილა“-ო, ამბობდა ბედნიერი ქმარი გუნებაში.

კარმინი, ვოლპეს ნათესავი, რომელიც მას სულ ბიძას ეძახდა, რასაკვირველია, ფულის სიყვარულით, ბიცოლას პირდაპირ იჯდა და იძულებული იყო ზრდილობიანად მოქცეოდა მემკვიდრეობის წამრთმევს. ბევრი პირფერი სიტყვებიც გააგონა ახალგაზდა ბიცოლას: „ასეთი ლამაზი ბიცოლა გყავდეს! რა გულით მინდა, რომ ამალამ ბიძაჩემის ადგილს ვიყო! მზადა ვარ იმდენი წლის სიცოცხლე მოვიკლო, რამდენით ბიძაჩემზე ახალგაზდა ვარ!“

როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ და კარები დაკეტეს, ვოლპემ ეზო და სახლ-კარი უჩვენა თავის ცოლს და ბოლოს უთხრა:

— ეხლა შენ აქ ქალბატონი ხარ.

რაფაელას ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი დედისაგან: მოიგდო ყელ-საკიდი, გაიხადა აბრეშუმის კაბა, ყველაფერი კამოდში შეინახა და გასაღები ბალიშს ქვეშ ამოდო. ქმარი სიამოვნებით შეცქეროდა ცოლს, რადგან ერთობ მოეწონა მისი ქცევა.

კარმინი მალე მიხვდა, თუ ქარი საიდან უბერავდა და სულ ბიცოლას უვლიდა თავს, რომ რამე ხელიდან გამოეცინცლა.

— ქვის გული ხომ არა გაქვთ, რომ თქვენ ღარიბ ნათესავებს შიმშილით ხოცთ? ღვთის წყალობა ბევრი გაქვთ სახლში და თქვენ რომ მოისურვებდეთ, ბიძა ჩემი უარს არ იტყვის.

— მე რა უნდა ვქნა? შენ კარგად იცი, რომ ოჯახის ბატონი ბიძაშენია.

ან კიდევ სხვა გვარად მოჰყვებოდა კარმინი:

— შვილები რომ გყავდეთ, არას ვიტყოდი, მაგრამ ამოდენა ღვთის ნაბოძებს რაღა უნდა უქნათ, როცა არც ერთი თქვენგანი აღარ იქნება?“

— თუ შვილები არა გვყავს, ეს ღვთის ნებაა. კარმინი თავს მოიფხანდა და თავის კატის თვალებით ბიცოლას განზე



შემოდგომა.—სურათი ვოლკოვისა.

შეაცქერდებოდა. ერთ დღეს უფრო გაბედულად დაუწყო ლაპარაკი რაფაელას:

— რა მშვენიერი და ახალგაზდა ხართ და შვილი კი არა გყავთ! მართლა რომ მეტად საწყენია!

— შენ რა გენაღვლება მერე?

კარმინი ცოტა ჩაფიქრდა და ხელების სრესით უპასუხა:

— ბიძაჩემს უნდა ენაღვლებოდეს! ბიძაჩემი რომ ვიყო, მაშინ ნახავდით!

— არ გაჩუმდები შე ეშმაკის კერძო! გინდა რომ ბიძაშენს ვუთხრა ყველაფერი?

— ღვინოს არ მომცემთ?

— მოგცემ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მოგიშორო. ბიძაშენს კი არ უთხრა.

ამ გვარად კარმინმა იცოდა, თუ როგორ მოქცეულიყო, რომ თავისი გაეტანა.

— დღესავით მშვენიერი ხართ! ეუბნებოდა ეშმაკი კარმინი თავის ბიცოლას; ისეთი საუნჯე ხართ, რომ ყველას სურვილს უღძრავთ; რა უსამართლოა განგება, რომ ხილს იმას აძლევს, ვისაც კბილები სრულებით არ უჭრის!

რაფაელა ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა შურისა და სიბრაზისაგან, ლანძღავდა ახალგაზდა ბიჭს და თავიდან რომ მოეშორებინა, ხელში მიაჩეჩებდა რასმეს. ერთხელ სილაც კი გააწნა თავხედ ნათესავს.

— მცემთ, ბიცელა ჩემო, უთხრა კარბინმა; თქვენი ტკბილის ხელით ცემა როდი მეტკინება, მესიამოვნება.

— ახლო არ მომეკარო! განსაცდელში ნუ შემგყავარ მუდამ დღე! იძულებული ვარ ყველაფერი მოძღვარს ვუთხრა.

— რა ცოდვაა, რომ თქვენსა დავდივარ? მე ხომ უცხო არა ვარ!

— არა და არა! ხალხი ყაყანს დაიწყებს ყოველ დღე რომ აქ გხედავს. და არც მე მსურს შენი ნახვა.

— მე მხოლოდ თქვენი ცქერა მინდა. მეტს არას ვთხოულობ. რა ჩემი ბრალია, რომ ასე მომაჯადოვეთ!

ერთ დღეს კარმინი შეელოდა რაფაელას ბეღელში პურის შეტანას. საღამო ხანი იყო და რაფაელა ლამპით უნათებდა მომუშავეს. კარმინმა ერთბაშად თმაში წაავლო ხელი და არ უშვებდა, თუმცა რაფაელა სახეს უკაწრავდა და ფეხებზედ ფეხით სცემდა.

— ეხლა კი ველარ წამიხვალთ ხელიდან, ხმა ჩაწყვეტილი და გონდაბნეული ამბობდა კარმინი. თმა გაშლილი და გაბრაზებული რაფაელა ოთხზე იდგა და ხელიდან გავარდნილ ლამპას ეძებდა; განა არც ამას ემორჩილებოდა და ხმადაბლა ბუტბუტებდა:

— შენის მიზეზით ზეთი დავღვარე. უთუოდ რამე უბედურება უნდა მოხდეს!

*
* *

ერთ საშინელ წვიმიან დღეს ნანი ვოლპე გაცივდა და ცუდი ციებ-ცხელება შეეყარა. კარგა ბლომა ფული დაუჯდა ხელ მოჭერილ გლეხს თვისი წამლობა! ქმრის ავადმყოფობის დროს საბრალო რაფაელამ სწორედ სამოთხე დაიმსახურა, ისე იქცეოდა. მთელი დღე ისა და მისი ნათესავი კარმინი წამლებს უმზადებდნენ ავადმყოფს. ნანი ვოლპე კი იწვა საბანში გახვეული და ჰფიქრობდა ამოდენა დახარჯულ ფულზე და ოჯახის საქმეებზე, რომელიც ახლა სხვას უნდა გაეკეთებია. მუშები ალბად ჭამისა და სმის მეტს არას აკეთებდნენ, რადგან ყურის მგდებელი არავინ იყო; ბევრს სახლშიაც წაიღებდნენ. ღამე სულ ავაზაკები და ქურდები ესიზმრებოდა და ცივ ოფლ დასხმული გიჟივით გაიღვიძებდა. ერთხელ მართლა გაიგონა რაღაც ხმაურობა მეორე ოთახში; ნანი ვოლპე პერანგა წამოვარდა, თოფს ხელი მოავლო და დაინახა, რომ ვიღაც სიჩქარით გარბის; რაფაელა კი აჩქარებული რაღაც ნივთებს ესროდა მიმავალს.

— მიშველეთ! ქურდები! ავაზაკები! ჰყვიროდა ვოლპე და თოფიც დაუმიზნა.

— ნუ მომკლავთ, მე ხომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარ! იმუდარებოდა შიშისაგან გაფითრებული კარმინი, რომელიც იქვე ახლო იყო დაჩოქებული. შეშინებული რაფაელა პირჯვარს იწერდა და თავისთვის ამბობდა:

— კარგად ვლოდი, რომ დაღვრილი ზეთი რამე უბედურებას მოგვიტანდა!

ბოლოს რაფაელამ ცოცხალ-მკვდარი კარმინი სახლიდან გააგდო და ქმრის მოვლას შეუდგა. წამალი დაალევინა, ფეხებში თბილი ბოთლები ჩაუყარა და საბანი კარგად დაახურა.

— სწორედ ვერ გამიგია, ეს ბიჭი საიდან გაჩნდა. საღამოს მოხმარება ვსთხოვე საცვლების დაწყობაში, მაგრამ არ მეგონა თუ აქამდე აქ იყო.

ნანი ავადმყოფობასა და ხანგრძლივ წლისაგან წინანდებურად მკაცრი აღარ იყო და ამიტომ იტანდა რაფაელას მოვლასა და ლაპარაკს. მაგრამ ხერხიან და გონიერ თავში კი სულ იმაზე ჰფიქრობდა, როგორ დაეხწია თავი ამ ჭაობისაგან ისე, რომ შიგ ფეხსაცმელი არ დარჩენოდა.

— გამიგონე! უთხრა დილით ვოლპემ თავის ცოლს, მე გადავსწყვიტე ანდერძის დაწერა.

— რა სისულელეს მოიგონებ ხოლმე! რა სალაპარაკო საგანია!

— არა, ჩემო შვილო. ერთის ფეხით უკვე სამარეში ვდგევარ. მთელი სიცოცხლე გამწარებით მიმუშავნია, ქონება შემიძენია და წესი და რიგიც უნდა ავასრულო.

— რა აზრები მოგდის ხოლმე თავში.

— დამშვიდებით იყავ. ანდაზა ხომ გაგიგონია: სული მიდის და ქონება კი რჩება?

— მაღლა ღმერთი გადაგიხდისთ, რაც სიკეთე მიყავით და შემდეგშიაც იქნება, უპასუხა გრძნობა მორეულმა რაფაელამ. შიშველი წამომიყვანეთ სახლიდან, როგორც ობოლი და მეც მამასავით პატივს გცემდით.

— მართალია, მართალია! მე ეს კარგად ვიცი,—სთქვა ვოლპემ.

საღამოს ალსარების თქმა და ზიარება მოითხოვა ავადმყოფმა, რომ დამშვიდებულის სულით გადასულიყო იმ ქვეყანას, თუ განგება მაისურვებდა. დააძახებინა თავის ნათესავ კარმინსაც.

— იმ დღეს რად გაიქეცი? განა შენი ბიძის შეგეშინდა?

კარმინი თავ ჩაღუნული და ხმა გაკმენდილი იდგა, ქუდს ხელში ატრიალებდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— ქუდი დაიხურე! განა ეს შენი სახლი არ არის? როცა გინდა მოდი, როცა გინდა წადი, უკეთესი იქნება, თუ უფრო აქ იქნები, რომ უკეთ დაიცვა შენი ინტერესი.

რაფაელა გამხეცებული წამოვარდა და იყვირა:

— შენი სული ეშმაკისაა! ნამდვილ ქურდივით იქცევით! დიახ ქურდივით! არა, რისთვის გამოგყევი ცოლად?

— ეს სულ სხვაა—უპასუხა ნანიმ და საგებში ჩაწვა, ანდერძთან ამას საქმე არა აქვს.

რაფაელა ისე გაბრაზდა, რომ ქმარს უნდა დაჰტაკებოდა, მაგრამ გზა კარმინმა გადაუღობა.

— ესლა გვაკლდა, რომ ჩემ საყვარელ ბიძას ხელი ახლო! უკან, თორემ ქათამსავით კისერს მოგიგრეხ!

წყევლა-კრულვიო მიატოვა რაფაელამ ქმრის სახლი. თან იმუქრებოდა, ქმარს სასამართლოში ვუჩივლებო; ჩემი ქმარი ისეთი ავი ვინმეა, რომ ღირსია მარტოდ მარტო ყველასაგან მიტოვებულმა დალიოს სული, როგორც ძაღლმაო.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ,—უთხრა კარმინმა ნანის, თუ თქვენი სურვილი იქნება, სულ აქ ვიქნები, რომ კარგად მოგიაროთ; მე ხომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარ!

— ყოჩაღ, კარმინ! არ დაივიწყო შენი ინტერესი. რაფაელა სახლში ისე მიიღეს, როგორც სხვის ეზოდან მოსული ძაღლი.

— შენი საკუთარი სახლი არა გაქვს?—ეუბნებოდა დედა; ქმარი არა გყავს? მაშ იქ რაღა გინდა? რაფაელამ სცადა თავის საცხოვრებელი მაინც გამოერთმია ქმრისათვის, მაგრამ ნანი ვოლპემ კანონი უკეთ იცოდა.

— მე ხომ არ გამიგდია სახლიდან? კარი ღიაა და თუ დაბრუნდება, წინააღმდეგი არავინ იქნება.

კარმინი სულ იმას ეუბნებოდა ბიძას, რომ საშიშია ცოლის ისევ სახლში მიღება—შეიძლება საწამლავიც გაურიოს საჭმელში, ისე სძულხართო,—დაუმატა მზრუნველობით ნათესავმა.

— ამის შიში არ არის,—უპასუხა ღიმილით ბიძამ;—ანდერძი შენ სახელზეა და თუ მომწამლა, ის რას მოიგებს? პირიქით, წააგებს კიდეც.

ვოლპემ თავი მოიფხანა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ გაჩუმება არჩია; გულში კი ეცინებოდა.

რაფაელა დაბრუნდა ქმრის სახლში კრავივით წყნარი და მშვიდი. თან მოჰყვნენ დედა და ნათესავები.



წვიმის შემდეგ.—სურათი ლევიტანისა.

კარმინმა თვალები დააჭყიტა და გიჟივით იცქირებოდა.

— აბა ნოტარიუსთან წადი და გაიგე, ვის დავუტოვე ჩემი ქონება, შე უბედურო, შენა! სული ღმერთისაა და მემკვიდრეობა კი იმისა, ვინც დაიმსახურებს.

— რაც მოხდა, მოხდა,—ამბობდნენ რაფაელას ნათესავები; ყოველ ოჯახში ხდება ასეთი ამბავი; ეხლა ისევ მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ნახავთ, თქვენი ცოლი როგორ ეცდება ისევ დაიმსახუროს თქვენი სიყვარული!

— არც არაფერი წამირთმევია და არც არას წავართმევ, თუ წესიერად მოიქცევა,—უპასუხა ნანი ვოლპემ.

*
* *

ყოველ ღონეს ღონობდა რაფაელა, რომ ქმრის გული დაებრუნებია; ისეთი მოსიყვარულე და ნაზი იყო, რომ ვერ იცნობდით; ერთ წუთსაც კი არ შორდებოდა თავის ქმარს და წარმოთქმამდე უსრულებდა ყოველ სურვილს.

მოხუცი ქმარი ხშირად ეუბნებოდა თავის ცოლს:

— ეგრე, ეგრე! ეცადე რომ გამოვბრუნდე, თორემ ანდერძის გამოცვლას ვერ მოვახერხებ და ეს ხომ დიდი უბედურება იქნებოდა!

სიამოვნებით იღებდა ბებერი ვოლპე ცოლის მოვლას და პატივისცემას; ნამდვილ ფაშასავით გრძნობდა თავს ამ განცხრომაში.

— შემდეგში, ეუბნებოდა რაფაელას, თუ ღმერთმა დრო მომცა, ახალ ანდერძს გავაკეთებ. მთელი ჩემი სიცოცხლე მიმუშავნია, პირუტყვსავით მიცხოვრია და ახლა სამაგიეროდ გასამრჯელოც მივიღე. გასამრჯელოს გონიერი დამსახურება უნდა.

ერთად-ერთი უსიამოვნება ვოლპესათვის ის იყო, რომ რაფაელა და კარმინი მთელი დღე ილანძღებოდნენ და ჩხუბობდნენ. ვოლპეს ადგომაც კი არ შეეძლო, რომ გაეშველებინა მოჩხუბარნი.

ზოგჯერ რაფაელა სულ დასისხლიანებული შემოვიდოდა ქმართან.

— ხედავთ, რა მიქნა იმ ავაზაკმა?

კარმინ, შე უსინიდისო, რა გიქნია ბიცოლაშენისათვის?

— რატომ არ გააგდებთ ამ ქურდს, ამას?

— რა ვქნა, მომავალი საჭიროა ოჯახში; მე, ხომ ხედავ, ვერ ავმდგარვარ.

— აი ნახავთ, თუ რამე არ დაგმართიათ! უთუოდ მალე გადაგასახლებს იმ ქვეყნად: ნამდვილად საწამლავს შემოგაპარებთ, სანამ ახალ ანდერძის დაწერას მოასწრობდეთ!

— შენ აქ არ მყავხარ? მეც უნდა მიპატრონო და შენი ინტერესიც დაიცვა.

კარმინი სიამოვნებით ხელებს ისრესდა, რადგან ბიძა ახალ ანდერძს არ აკეთებდა და ძველი ხომ მის სასარგებლოდ იყო შედგენილი.

ვოლპე უარესად და უარესად ხდებოდა და ვერ ახერხებდა ახალ ანდერძის შედგენას. რაფაელა ხედავდა, რომ ქმარი დღითი-დღე სუსტდებოდა, ფითრდებოდა და ნამდვილ მოჩვენებას ემზგავსებოდა, და თვითონაც ჩამოხმა და ჩამოყვითლდა, რადგან ანდერძი გამოცვლილი არ იყო.

ერთ დღეს კარმინი წვენს აჭმევდა ბიძას; ერთი ხელით თავი ეჭირა და მეორე ხელით კოვზით წვენს აწვდიდა. რაფაელამ მოთმინება დაჰკარგა და თავი ვეღარ შეიკავა.

— ხომ ეგრე კარგათ ეპყრობით თქვენ ნათესავს? ის კი არ იცით, თუ რა სირცხვილი გაჭამათ და თავი როგორ მოგჭრათ!

კარმინი მზად იყო, რომ თეფში თავში ჩაერტყა რაფაელასათვის, მაგრამ ბებერმა ვოლპემ თავი დააქნია და სთქვა:

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი... როგორც ნამდვილ თავადს ისე უვლიდნენ ნანი ვოლპეს მემკვიდრეობის მიღების იმედით. ვოლპეც ნატრობდა, სანამ საბოლოოდ არ მიიძინა..

კარმინმა გაგდება მოუნდომა რაფაელას, რადგან თვითონ იყო ერთად-ერთი მემკვიდრე ბიძის ქონებისა. გახსნეს ანდერძი, წაიკითხეს და მხოლოდ ეხლა მიხვდნენ, რა ეშმაკი სული იყო ბებერი ნანი ვოლპე—მოატყუილა ნათესავიც, ცოლიც და მთელი ქვეყანაც: მთელი თავისი ქონება საავადმყოფოსათვის ეანდერძა.

იქვე ნოტარიუსის წინ გაბრაზებული ქვრივი და ნათესავი თმაში ჩაავრინდნენ ერთმანეთს...




— როგორ! შენ მოდიხარ ჩემთან ქალის სათხოვნელად და იმას კი არ მკითხულობ, რა მზითევი აქვს? მაგისთანა თავქარიანს და წინ დაუხედავს მე ქალს ვერ მივათხოვებ.



— სხვა ხომ არა გნებავთ-რა ბატონო?
— ახლა! არა არაფერი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 ноября 1903 г. Электропеч груз изд т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამოც. ქართ. ამხ—ისა